

გაზეთი ბეჭდის, „ვერსი“ ერთი

ვერსი

ფასი 50 თეთრი



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარანკაძე

№75 (1101) 6 - 7 ივლისი, 2015 წელი

ქუთაისში ხანძრის შედეგად

40 აგარაკი დაინგრა



გვ. 8

„ბერძნული კრიზისი“ საქართველოში

როგორ აისახება საბერძნეთის ეკონომიკური კრიზისი საქართველოზე, რა ბედი ედით ქართველ ემიგრანტებს და რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მთავრობასთან ერთად?

საბერძნეთის კრიზისი საქართველოში სწრაფ ფუად გზავნილებს შეაფერხებს, რასაც ჩვენს ქვეყანაში სოციალური კრიზისი მოჰყვება

საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა უნდა უბრუნვედეს, რომ ემიგრანტებს ბანკებმა ჯარიმები არ დაავისრონ

აჯობებს, ვიდრე საბერძნეთში ასეთი მდგომარეობაა, საქართველომ თუნდაც მხოლოდ ამ ქვეყნისთვის, ამანათებზე დანესებული მინიმალური, დაუბეგრავი, 300-დარიანი ბლვარი ასწიოს



Referendum

გვ. 6-7

„ვლოცულობთ, ვითარება გამოსწორდეს. საქართველოში რომ მოგვინიოს ჩამოსვდა, პურის ფუდსაც ვერ ვიშოვით“

„იმდენად მძიმე ვითარებაა, აქაურებიც კი გასაქცევად ემზადებიან“

გვ. 4-5



რაგომ სტუმრობს ხშირად ივანიშვილი გამოსვლების სენატს

„ძალიან უცნაური კითხვა დამისვით!“ — ვისზეა ნაწყენი მათი მიმინოშვიდი

პრაზიდანების „აქილავის ქუსლი“ დაბოვებს თუ არა მარგველაშვილი ავლაბრის რეზიდენციას

გვ. 8

ექსკლუზიური ინტერვიუ სალომე ზურაბიშვილთან



რუსულ-აფხაზური შეთანხმების მოქონებობის დაბალეები



საბავშვო ბაღის მიღმა ნელსაჲ არაერთი ბავშვი დაჩრება?!
გვ. 9



რატომ სტუმრობს სერიად ივანიშვილი გამოსვლის ცენტრს

„ძდიან უცნაური კითხვა დამისვით!“ — ვისზეა ნაწყენი მაია მიმინოშვილი

მანო კავლიაშვილი

საქართველოში საგამოცდო ციებ-ცხელებაა. ჰოდა, არა-ჩვეულებრივი ინტერვიუსთვის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელზე უკეთესი რესპოდენტი ვინ უნდა იყოს?.. მაია მიმინოშვილი ურეკავ. ვუსხნი, ვინ ვარ და რა მინდა. მთანხმდება, ოღონდ შეხვედრის დროის დასაზუსტებლად თანამშრომლის ტელეფონის ნომერს მაძლევს... „ეროვნულების“ მეორე დღეა, პარასკევი. დილის 11 საათი... „გე-პე-ი“-ს მე-6 კორპუსთან ხალხმრავლობაა. სამართალდამცავების სიჭარბეც თვალშისაცემია... ვიდრე მაია მიმინოშვილი ტელევიზიის ჟურნალისტს ელაპარაკება, უნიფორმიან დიაცთან ვმუსაიფობ — კრიმინალური პოლიციის წარმომადგენელი აღმოჩნდა. მასასადამე, რესპოდენტს აუცილებლად უნდა ვკითხო, რა საჭიროა გამოცდებზე კრიმინალური პოლიცია...

— ქალბატონო მაია, ეროვნული გამოცდები იუბილარია — 10 წლის გახდა...

— მართალია, ეროვნული გამოცდები პირველად 2005 წელს ჩატარდა, მაგრამ საიუბილეო წელი შარშან იყო. წელს კი, ეროვნულ გამოცდებს მეთერთმეტედ ვატარებთ... ყველაფერი, მგონი, კარგად მიდის. ერთადერთი, პირველ დღეს, გამოცდიდან ორი აბიტურიენტი მოიხსნა, რაც ძალიან სამწუხაროა. შარშან ერთი აბიტურიენტიც არ მოგვიხსნია და კარგი იქნებოდა, წელსაც ასე ყოფილიყო...

— ერთ-ერთი აბიტურიენტი იმიტომ მოხსენით, რომ ნასვამი იყო. არადა, კანონში არ წერია, ნასვამი გამოცდაზე არ დაიშვება. საქმე კანონდარღვევასთან ხომ არ გვაქვს?

— გეტყვით წესებში როგორი ჩანანერია: „წესრიგის უხეში დარღვევისთვის ან სხვა შემთხვევებისთვის“. „წესრიგის უხეში დარღვევა“, ბუნებრივია, ფართო მცნებაა, მაგრამ აბიტურიენტი ნასვამი კი არა, მთვრალი იყო.

— ითქვამს, რომ აბიტურიენტს ალკოჰოლი, დამშვიდების მიზნით, დედას დააღვინა...

— როგორც პატრულმა ამიხსნა, ალკოჰოლის დასაშვები ნორმა 0,3-მდეა, ამ შემთხვევაში კი, 1,3-ზე მეტი იყო.

— მერე რა მოხდა? არ შეიძლება, მთვრალმა გამოცდა ჩააბაროს?

— ბუნებრივია, „უხეშ დარღვევაში“ ყველაფერს ვერ ჩანერ, მაგრამ რა თქმა უნდა, არ შეიძლება, რომ აბიტურიენტი საცურაო კოსტუმით მოვიდეს. შარშან ასეთი შემთხვევა გვქონდა: აპლიკანტს საგამოცდო სექტორში სიგარეტის შეტანა უნდოდა და კარგა ხანს ვუსხნიდი, რომ შენობაში სიგარეტს ვერ მოწვედა და გამოცდიდან გამოსულს დავახვედრებდი. აპლიკანტი მიმტკიცებდა, თუ ჯიბეში სიგარეტი არ მიდევს, ეს ჩემზე ცუდად მოქმედებსო. ბოლოს, მკითხა, აბა, გამოცდაზე რისი შეტანა შემიძლია. მივუგე, რომ წესებში ნათლად წერია, რომ მხოლოდ პირადობის მონომობის, საგამოცდო ბარათის, წყლის (პლასტმასის ბოთლით) და პირადი ჰიგიენის ნივთების შეტანა შეეძლო. აპლიკანტმა მიპასუხა, აქ არ წერია, რომ შეიძლება, პერანგით შევიდო და პერანგის გახდა დაიწყო.

— აბსოლუტურად ლოგიკურად უმსჯელია...

— გეხვეწებით, რა... დაცვამ აპლიკანტი გააფრთხილა, რომ ის, რასაც აკეთებდა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა იყო.

— პერანგის გახდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევად როდიდან ითვლება?

— ჩოჩქოლი ატყდა, ხალხმა ყურება დაუწყო, რეგისტრაცია, პრაქტიკულად, ჩაიშალა და ასე შემდეგ...

რაც შეეხება გამოცდიდან მოხსნილ აბიტურიენტს, მეთვალყურე უწოდდება, არაადეკვატური ქცევების გამო მიექცია — სექტორში დაეძინა, მერე, გამოფხიზლდა და მეორე აბიტურიენტს წყალი სთხოვა... მეთვალყურე ვერ დაანყნარა და ადმინისტრატორს დაუძახა... ადმინისტრატორმა ექიმთან ჩაიყვანა. მეგონა, რომ აბიტურიენტი ცუდად გახდა, მაგრამ ექიმმა თქვა, ნასვამიაო. ამის შემდეგ პატრული გამოვიძახეთ.

— წესრიგს პატრულიც დაიცავს, თუმცა ეროვნული გამოცდები კრიმინალური პოლიციის „აღყაშია“. რა ხდება?

— ეს კითხვა ჩემი მისამართით არაა... უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შსს-ს მიემართა და გადაწყვეტილებასაც ის იღებს, რომელი უწყება და სად უნდა იყოს. პატრული ტესტების უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფს...

— ვიდრე ტელევიზიებთან კომენტარს აკეთებდით, კრიმინალური პოლიციის წარმომადგენელს გამოველაპარაკე და მითხრა, პედაგოგთა ატესტაციისას, გამოცდის დამთავრების შემდეგ, ტუალეტში „შპარგალკებს“ ვპოულობთ. მართალია, აპლიკანტებს ვიზუალურად ვათვალიერებთ, მაგრამ როგორც ჩანს, „შპარგალკა“ საცვლებით შეაქვთო...

— აპლიკანტების უფლებებს დავიცავ და, ნება მომეცით, ამაზე კომენტარი არ გავაკეთო...

— კეთილი... ქალბატონო მაია, ეროვნული გამოცდები თქვენს სახელს უკავშირდება. ამის გამო, წინა ხელისუფლებასთან, ბოლო წუთამდე, კარგი ურთიერთობა გქონდათ. ყოფილი პრემიერი, ბიძინა ივანიშვილიც ხშირად გსტუმრობთ... ამას რითი ხსნით?

— ასე ჩანს, რომ ხშირად გვსტუმრობს... ორ ძალიან საინტერესო პროექტს ვანხორციელებთ, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქესთანაა“ დაკავშირებული.

— ამ პროექტებიდან თქვენი ორგანიზაცია ფინანსურ სარგებელს ნახულობს?

— ფინანსური სარგებლის ნახვა რას ნიშნავს? პროექტის ბიუჯეტი დგება.

— ანუ, პროექტებს „მოქალაქე“ აფინანსებს?

— დიახ, ორივე „მოქალაქის“ პროექტია, რომელიც ჩვენთვის გამოწვევა აღმოჩნდა და ძალიან დიდი ინტერესით ჩავერთეთ. ერთი პროექტი მოსწავლეებს ეხება, მეორე — სტუდენტებს. როცა მოსწავლეებსა და სტუდენტებს ვხვდებით, ბუნებრივია, „მოქალაქის“ დამფუძნებელიც მოდის.

— „მოქალაქეს“ პროექტებში მონაწილეობა თქვენ შესაძლებელია?

— უბრალოდ, იდეა არსებობდა და ჩვენ საპროექტო წინადადება მოვამზადეთ...

— შეიძლება, არაეთიკურად ჩამითვალოთ, მაგრამ მაინც გკითხავთ: რა თანხაზეა ლაპარაკი?

— პირველ პროექტში, რომელსაც „სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა“ ქვია, 9-12 კლასების მოსწავლეები მონაწილეობენ და მისი ბიუჯეტი 149 ათასი ლარი იყო. მეორე პროექტიც — „სტუდენტები თვითმართველობისთვის“ ძალიან საინტერესოა — ასეთი პროექტი უცხოეთშიც არ მინახავს. თვითმართველობის საკითხებში სტუდენტებისთვის არაერთი ტრენინგი იყო დაგეგმილი, მივლინებებშიც დადიოდნენ... ამ პროექტის სრული ბიუჯეტი კი 171 ათასი ლარია.

— გამოცდების ცენტრს, როგორც სახელმწიფო უწყებას, მსგავს ფინანსურ პროექტებში მონაწილეობის უფლება აქვს?

— დიახ, ჩვენ ეკონომიკური საქმიანობა არ გვეკრძალება. ასე რომ, ეს გამონაკლისი არაა და სხვა ბევრ პროექტსაც ვანხორციელებთ.

— ბიუჯეტი რამდენით გაფინანსებთ?

— 12 მილიონით...

— ისე, ქალბატონო მაია, პირველ პირებთან თქვენი ურთიერთობა ცუდად მთავრდება ხოლმე...

— ეს რას ნიშნავს?

— გეტყვით: მიხელოთ სააკაშვილი გაქვდათ, გაქვდათ და გაქვდათ. ბოლოს კი, რაც მოხდა, ვიცით...

— (იცინის) ეს, მე თუ მკითხავთ, მიხელოთ სააკაშვილის პრობლემა და არა — ჩემი... გესმით, საქმე რაშია? — ის, როგორც ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტი მოიქცა, სრულიად არაადეკვატური იყო.

— სააკაშვილთან წლები კონტაქტობდით და, წესით, უნდა გცოდნოდით, რომ ერთხელაც, შეიძლება, არაადეკვატურად მოქცეულიყო...

— კი, მაგრამ რა უნდა მექნა, ჩემი საქმე აღარ გამეკეთებინა? ის, რასაც ვაკეთებ, პირდაპირ გეტყვით, ძალიან მიყვარს... ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ პოლიტიკისგან შორს ვიყო...

— სიტყვად მოიგანა და, იმის სურვილიც ხომ არ გაქვთ, რომ ტესტირება პოლიტიკოსებსაც ჩაუტაროთ?

— (ილიმება) არა...

— ნაციონალების მმართველობისას, როგორც ახლა ამბობენ, პოლიტიკური ნიშნით ძალიან ბევრი იდევენობდა, მით უმეტეს, 2012 წლის გაზაფხულზე, როცა არჩევნები კარს იყო მომდგარი, მაგრამ ივანიშვილმა შეხვედრის სურვილი მაინცდამაინც თქვენთან რატომ გამოთქვა?

— არ ვიცი, ის დღე რამდენად გახსოვთ, მე კი ძალიან კარგად მახსოვს: გამოსაშვები გამოცდები დამთავრებული არ იყო და მეუბნებოდა, უნდა ნახვიდე, რადგან ბატონ შამკინს თვალში არ მოუხვედო. ზუსტად ვიცი, თვალში რის გამოც არ მოუხვედი... სამსახურში მივედი, მინდოდა, თანამშრომლები დამეწყნარებინა, მაგრამ მთელი ცენტრი ფეხზე იდგა — ყველამ ქული დაიხურა და წამოვიდა. სერიოზული რეზონანსი სწორედ ამას ქონდა. ჩემმა კოლეგებმა მაშინ, როცა ყველა შეშინებული იყო, გმირობის ტოლფასი ნაბიჯი





„ჩვენ არს ერთ დავნილს არ დავტოვებთ იმ ნარმოუდგენელ პირობებში, რომორშიც წლები გაატარეს“

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა 35 დევნილ ოჯახს საცხოვრებელი ბინები გადასცა.

პრემიერ-მინისტრმა, დევნილთა და განსახლების მინისტრთან ერთად, ქუთაისის ცენტრში ახლადდაშენებული კორპუსი დაათვალიერა და დევნილთა საცხოვრებელ პირობებს ადგილზე გაეცნო: „როდესაც ჩვენი მთავრობა, ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით ხელისუფლებაში მოვიდა, განსაკუთრებულ პრიორიტეტად იძულებით გადაადგილებული პირებისთვის სათანადო პირობების შექმნა დაავისახეთ. ჩვენ არც ერთ დევნილს არ დავტოვებთ იმ ნარმოუდგენელ პირობებში, როგორშიც წლები გაატარეს და ეტაპობრივად ჩვენ დავძლევთ ამ პრობლემას. სწორედ ამ ადამიანებისთვის ღირსეული პირობების შექმნის გზაზე გადადგმული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახლავთ პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქართველი მენაშენებლებისგან ბინების გამოსყიდვას. ჩვენ უკვე შევისყიდეთ 35 ბინა ამ კორპუსში, ხოლო მიმდინარე წლის ბოლოს კიდევ 18 ბინას ჩავიბარებთ“.

მისივე განმარტებით, პროექტი იძლევა ქართველი მენაშენებლის ნახალისების, დევნილთა პრობლემების გადაწყვეტის საქმეში მენაშენებლის ჩაბმის შესაძლებლობას და ხელს უწყობს ზოგადად, სამშენებლო ბიზნესის განვითარებას.

ახალმოსახლე ოჯახებმა მთავრობის მეთაურს მადლობა გადაუხადეს მთავრობის მიერ დევნილი მოსახლეობისთვის განეული ზრუნვისთვის. „მადლობა გეკუთვნით თქვენ ამდენი მოთმინებისთვის და გაჭირვების ღირსეულად გადატანისთვის“, — განუცხადა პრემიერმა დევნილებს.

დევნილთა და განსახლების სამინისტრომ მენაშენებლის პროექტის ფარგლებში, ქუთაისში სულ 53 ბინა შეისყიდა. შმიდტის ქუჩა N2-ში მდებარე კორპუსში საცხოვრებელი ფართი 35-მა დევნილმა ოჯახმა მიიღო. დარჩენილი 18 ბინა დევნილ ოჯახებს 2015 წლის ბოლოს გადაეცემათ.

„პირველი“

„სა“ პეპატივით დაავადებულ რამდენიმე ათეული პაციენტი გამოჯანმრთელდა



ჯანდაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს განცხადებით, C პეპატივის ელიმინაციის პროგრამაში 6000-მდე პაციენტი უკვე რეგისტრირებულია.

დავით სერგეენკოს თქმით, ამ დროისთვის მკურნალობას 1700-მდე პაციენტი გადის: „უკვე რეგისტრირებულია 6000-მდე პაციენტი. ამ დროისთვის მკურნალობას გადის 1700-მდე ადამიანი. უახლოეს დღეებში ჩაერთვება კიდევ რამდენიმე ათეული. საერთაშორისო, პირველი 5000-მდე პაციენტის მკურნალობა სექტემბერში დასრულდება. ამასთან, სექტემბრიდან გადავერთვებით უფრო თანამედროვე ახალ პრეპარატზე, რომლის ეფექტურობაც ბევრად მაღალია, რაც უფრო წარმატებულს გახდის პროცესს“.

სერგეენკომ ასევე გაავრცელა ინფორმაცია, რომ „რამდენიმე ათეულ პაციენტს ვირუსი საერთოდ გაუქრა“.

„პირველი“

პრეზიდენტის „აქილევსის ქუსლი“ — დატოვებს თუ არა მარგველაშვილი ავლაბრის რეზიდენციას

ლაშა ბიბილური

იმის მიუხედავად, რომ პრეზიდენტი კატეგორიულ უარს აცხადებს ავლაბრის რეზიდენციის დატოვებასა და ათონელზე გადასვლაზე, სამუშაოები მაინც გრძელდება. არადა, პრეზიდენტის ადმინისტრაცია ჯიუტად ამტკიცებს, ამხელა ხარჯი (დაახლოებით 30 მილიონი) ჩვენი ბრალი არაა, რადგან ხელისუფლებამ კარგა ხნით ადრე იცოდა, რომ გიორგი მარგველაშვილი ავლაბრიდან გამოსვლას არ აპირებდაო.

„ჯერ კიდევ 2014 წლის 28 მარტს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ლაშა აბაშიძემ, პრემიერის ადმინისტრაციის უფროსს, მაია ცქიტიშვილს შეატყობინა, რომ პრეზიდენტი ავლაბრის რეზიდენციის დატოვებას არ აპირებდა. 2014 წლის 10 აპრილს კი მთავრობის ადმინისტრაციაში პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალური წერილი შევიდა, სადაც ნათქვამი იყო, რომ პრეზიდენტმა ავლაბრის რეზიდენციაში დარჩენა გადაწყვიტა. ამის მიუხედავად, ხელისუფლება ათონელის რეზიდენციის ძვირადღირებული რემონტი განაგრძო“, — ასეთია პრეზიდენტის ადმინისტრაციის დღევანდელი პოზიცია, თუმცა...

„ვფიქრობ, რომ აზრი აღარ ჰქონდა რემონტის შეჩერებას იმ დროს, როდესაც პრეზიდენტისგან ცნობილი გახდა, რომ არ აპირებდა ათონელის რეზიდენციაში შესვლას იმიტომ, რომ ძირითადი ხარჯები დახარჯული იყო და დასამთავრებელი იყო მხოლოდ გარკვეული სამუშაოები. ამ პროცესში ჩართული იყო ბატონი პრეზიდენტი. თვითონვე მონაწილეობდა განლაგების საკითხებში. თავდაპირველად, როდესაც ეს შეჩერებული პროექტი გაგრძელდა, ყველასთან იყო შეთანხმებული. მეორე აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტმა შეცვალა გადაწყვეტილება. რასაკვირველია, შეიძლებოდა დაუმთავრებელი შენობა დაგვეტოვებინა, მაგრამ ჩაითვალა და მე ვთვლი, რომ სწორი იყო სამუშაოების გაგრძელება. რაც დაწყებული იყო, აუცილებლად უნდა დამთავრებულიყო და შენობას დასრულებული სახე მიეღო. როდესაც მთავრობამ პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან მიიღო ინფორმაცია, რომ ის აღარ აპირებდა ათონელის რეზიდენციაში გადასვლას, მაშინ, რამდენადაც ვიცი, იყო მსჯელობა, გაგრძელებულიყო თუ არა სამუშაოები და ვთვლი, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღეს. მაგრამ ხაზს ვუსვამ, ამ დროს ძირითადი სამუშაოები დასრულებული იყო“, — ეს




განცხადება ინფრასტრუქტურის მინისტრს, ნოდარ ჯავახიშვილს ეკუთვნის.

რა გამოდის? პრეზიდენტმა გადაიფიქრა მაშინ, როცა უკვე დახარჯული 28 მილიონიდან, 20 მილიონზე მეტი გამოყენებული იყო. და სწორედ ამის შემდეგ ამბობს გიორგი მარგველაშვილი იმ რეზიდენციის დატოვებაზე უარს, რომლის მხოლოდ დასუფთავება წლიურად 170 ათასი ლარი ჯდება. ინფრასტრუქტურის მინისტრი თვლის, რომ პრეზიდენტი პოზიციას აუცილებლად შეიცვლის და ათონელზე გადავა. რა აძლევს ოპტიმიზმის საბაზს ბატონ ნოდარს, ვერ გეტყვით, მაგრამ როგორც ჩანს, ჯავახიშვილს იმის იმედი აქვს, რისიც ამომრჩეველს — რეზიდენცია, რომელიც მილიარდამდე დაჯდა და რომლის შენახვა კოლოსალურ თანხებთან არის დაკავშირებული, სახელმწიფოს მძიმე ტვირთად აწევს და იქ რამე ისეთი უნდა განთავსდეს, რაც ერთ კაცზე არ იქნება მორგებულ-მომართული.

მეორე მხრივ, პრეზიდენტი ვარაუდობს, რომ ავლაბრის რეზიდენცია სწორედ ის ადგილია, სადაც უნდა მიიღოს ოფიციალური სტუმრები და... რატომ აწყობდა ათონელის რეზიდენციას თავისი გემოვნებით, რატომ შეარჩია თავად ავეჯი და რატომ გადაწყვიტა ოთახების განლაგებაც კი თავის შეხედულებასამებრ, საიდუმლოდ რჩება. უფრო სწორად, ფილოსოფიური მსჯელობის საგნად რჩება და როგორც თავად ამბობს, მზად არის ფილოსოფოსი მარგველაშვილი ამ თემაზე ნებისმიერს ესაუბროს.

კუმისში ხანძრის შედეგად 40 აგარაკი დაინვა



დაუდევრობა თუ გვადვა? — ხანძრის მიზეზებს გამოძიება დაადგენს

„ვერსის“ ინფორმაციით, გარდაბნის რაიონის სოფელ კუმისში, აგარაკების ტერიტორიაზე, ხანძრის შედეგად 40-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი და ერთი მსუბუქი ავტომობილი დაზიანდა. როგორც გაირკვა, ხანძრის ლოკალიზებას მაშველები 6 საათის განმავლობაში ცდილობდნენ.

ინფორმაციის დასაზუსტებლად „ვერსია“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს ლევან ბეგლარიშვილს დაუკავშირდა, რომელმაც განგვიცხადა, რომ ხანძრის მიზეზი დიდი ალბათობით დაუდევრობა გახდა: „საბედნიეროდ ხანძარს მსხვერპლი არ მოჰყოლია. ბუნებრივი აირის აფეთქებას ადგილი არ ჰქონია. მიზეზი საავარადო დაუდევრობა იყო. სამაშველო სამსახურმა სწრაფად მოახდინა მოპოვება. ჩამოვიდნენ თბილისიდან, გარდაბნიდან, რუსთვიდან და მარნეულისაგან. ადგილობრივი სამაშველო სამსახური აქ გვერდით სოფელშია. ჩემი ინფორმაციით ხანძარი დაახლოებით 12 საათზე გაჩნდა. აქტიურად მუშაობენ, რომ მოხდეს ხანძრის ლოკალიზება. საგანგაშო მდგომარეობა აღარ არის“.

საგანგაშო სიტუაციების მართვის სააგენტოში კი განგვიცხადეს, რომ ხანძრის ლოკალიზება-ლიკვიდაცია დროულად მოახდინეს: „პირველი სახანძრო მანქანა შეტყობინების შემოსვლიდან 20 წუთში იყო მოპოვებული. კუმისში ჩვენ გვყავს ჩვენი ჯგუფი და 20 წუთში ისინი უკვე ადგილზე იმყოფებოდნენ“.

ამ ეტაპზე უცნობია თუ რა ტერიტორია დაინვა კონკრეტულად თუმცა, ადგილობრივები ამბობენ, რომ დამწვარია ათეულ შექტარზე მეტი ფართობი, აგარაკები და ეზოები. დამწვარ სახლებს შორის ათი მიტოვებული სახლიც არის. ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალის ოდენობას სპეციალური კომისია შეისწავლის. განსხვავებული ინფორმაცია ვრცელდება ხანძრის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით. დაუდევრობის გარდა, ამბობენ იმასაც, თითქოს სიცხის გამო ცეცხლი ბალახს გაუჩნდა. ხანძრის გამომწვევ რეალურ მიზეზს გამოძიება დაადგენს.

ნინო ჯაფარიძე

კ რ ე ნ ი კ ა მ ა ნ ი ა

ა დ ვ ი ლ ი

ს ტ ა ნ დ ა რ ტ ი

რ თ უ ლ ი

ე ქ ს კ ე რ ტ ი

4 8 3 2
7 1 9 6
2 1 9
4 5 7
7 9
7 6 9
9 1 6
2 7 6 4
4 2 3 9

2 7 4
1 3 6
3 7 2
5 6 8 4 3
8 3 9 1 9
9 8 2
7 3 8
5 6 3

3 1
9 2 4 7 5 3
1 4 9
3 7 6 7
9 6 5 2
2 5 8
8 9 6 5 2 1
4 6

8 2
7 4 1 3 2
7 9
6 1 9 5
5 2 7
2 5 9 3
6 5
3 7 4 1 9
3 4



ვაქცინა კარიესის წინააღმდეგ

ჩინეთის ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარებმა განაცხადეს, რომ მათ შეძლეს კარიესის საწინააღმდეგო ეფექტური ვაქცინის შექმნა. ის დნმ-სა და ორი სხვადასხვა ბაქტერიის ცილაზეა დაფუძნებული და კლინიკური ცდების ჩატარებამდე კარგი შედეგები აჩვენა.

ახალი პროგრამა „ლიენოზს დაეისვამი“



დიდ ბრიტანეთში გამოიგონეს მარტივი და სასიამოვნო მეთოდი, რომლის საშუალებითაც, დროულად გამოავლენენ სქესობრივი გზით გადადებ დაავადებებს.

მწვანე ფერი კი, მიგანიშნებთ, რომ სასწრაფოდ უნდა იმკურნალოთ ქლამიდიას. მისწავლეთ გამომგონებელს შ.თ. უნოდეს („სქესობრივი გზით გადადებ დაავადებები“).



ბრიტანელს „მონამდულ“ კერძებს შესთავაზებენ

კულინარული წიგნის — „კრემები და სასაჯელები“ პრეზენტაცია, ბრიტანეთში, აგათა კრისტის დაბადების 125-წლისთავისადმი მიძღვნილ ფესტივალზე გაიმართება.

წინა ნომერში გასული სკანოკრისა და სულოკუს პასუხები

8 1 3 7 2 9 6 5 4
7 5 4 1 8 6 3 9 2
6 2 9 5 4 3 1 8 7
5 9 2 4 3 7 8 6 1
1 4 8 9 6 2 7 3 5
3 7 6 8 5 1 2 4 9
2 6 5 3 1 4 9 7 8
9 8 1 6 7 5 4 2 3
4 3 7 2 9 8 5 1 6

3 2 4 6 7 5 1 9 8
5 9 1 8 4 2 7 3 6
8 7 6 3 1 9 5 4 2
2 8 5 9 3 1 6 7 4
6 3 9 7 2 4 8 1 5
4 1 7 5 8 6 3 2 9
1 6 3 4 9 8 2 5 7
9 5 2 1 6 7 4 8 3
7 4 8 2 5 3 9 6 1

3 2 5 1 8 4 9 7 6
6 8 4 7 2 9 5 3 1
1 9 7 6 5 3 8 2 4
4 6 2 5 3 1 7 9 8
5 7 3 4 9 8 6 1 2
9 1 8 2 7 6 4 5 3
2 5 1 8 6 7 3 4 9
8 4 9 3 1 5 2 6 7
7 3 6 9 4 2 1 8 5

2 1 9 3 8 6 7 5 4
5 8 7 2 4 1 3 6 9
6 4 3 9 7 5 8 2 1
1 3 2 4 6 9 5 8 7
8 9 6 5 3 7 4 1 2
7 5 4 1 2 8 9 3 6
9 2 1 8 5 4 6 7 3
4 7 5 6 1 3 2 9 8
3 6 8 7 9 2 1 4 5

- მე-10 გვერდი: 1. ლისაბონი; 2. ინბრიდინგი; 3. აბრაუ; 4. ორცხოხობა; 5. ბისკვიტი; 6. იუბილე; 7. კარაქი; 8. იპონი; 9. აბერაცი; 10. მოლა; 11. ოპოსუმი; 12. ოპოსუმი; 13. ობერტონი; 14. ელადა; 15. სამბა; 16. როლანი; 17. ედო; 18. აბი; 19. ომარი; 20. ელექსირი; 21. არგანი; 22. იდოში; 23. ძნა; 24. სიგელი; 25. ელია; 26. მალა; 27. ალო; 28. ამბიცი; 29. აბრაკადაბრა; 30. ანგარა; 31. ბეზია; 32. სარმა; 33. ოსიბ; 34. ანტენა; 35. რონინი; 36. ატილა; 37. ბრა; 38. ემსი; 39. ანი; 40. ნემო; 41. ურა; 42. ნიკოტინი; 43. ბის; 44. ჯენტილე; 45. ტუნეკა; 46. დია; 47. ცია; 48. ნუნისი; 49. ალიზი; 50. ბორჯომი; 51. ვაზა; 52. იდეა; 53. ოე; 54. სიკოკუ; 55. ზმა; 56. პაი; 57. იუდა; 58. ემუ; 59. დიმაჯიო; 60. ოდინი; 61. ლოსი; 62. საკურა; 63. ილი.

